ფინანსურ ანგარიშგებაზე, წარმოდგენილი საპროექტო წინადადებისა და ბიუჯეტის შესაბამისად (დანართი 1 – საპროექტო წინადადება, დანართი 2 – ბიუჯეტი).

2.3. წინამდებარე ხელშეკრულების 2.2 მუხლში მოხსენიებული დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.4. დონორის მიერ გრანტის მიმღებზე გასაცემი საგრანტო თანხა შეადგენს **31,053.60** (ოცდათერთმეტი ათას ორმოცდაცამეტი ლარი და სამოცი თეთრი) ლარს (18,000 აშშ დოლარის ექვივალენტს), რომელიც გადაირიცხება გრანტის მიმღების ანგარიშზე (სახელმწიფო ხაზინა TRESGE22; მიმღების ანგარიში: GE24NB0330100200165022; სახაზინო კოდი: 302 007 000; მიმღები: სსიპ. ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრი) HACT-ის გრანტის მიმღების ანგარიშზე გადარიცხვის მოდელით.

3. ხელშეკრულების ვადა

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს **2014 წლის 30 ოქტომბრამდე** და ძალაში შედის 2014 წლის 08 სექტემბრიდან.

4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4.1. გრანტის მიმღები ვალდებულია:

1) გრანტი გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებაში აღნიშნული მიზნებისა და დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად;
2) დონორს წარუდგინოს წერილობითი მოთხოვნა გრანტის თითოეული ფაზის განხორციელებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვის თაობაზე. მოთხოვნა უნდა შედგეს ავტორიზაციისა და სერთიფიცირების ფორმის (FACE) მეშვეობით და თან ერთვოდეს წერილი გრანტის მიმღების ანგარიშის მითითებით;
3) თითოეული ფაზის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა დონორს წარუდგინოს თანხების ხარჯვის ანგარიში ფონდების ავტორიზაციისა და სერთიფიცირების ფორმის (FACE) შესაბამისად;
4) თითოეული ფაზის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა დონორს წარუდგინოს წერილობითი ანგარიში პროექტის შესაბამისი ფაზით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების შესახებ;
5) პროექტის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვის შემდეგ დონორს წარუდგინოს საბოლოო წერილობითი ანგარიში გაწეული სამუშაოს შესახებ;
6) დონორის მოთხოვნის შემთხვევაში, უკან დააბრუნოს კონკრეტული გადარიცხვის განხორციელებიდან 3 თვის განმავლობაში აუთვისებელი თანხა. თანხის უკან დაბრუნება უნდა მოხდეს მოთხოვნის მიღებიდან 2 კვირის განმავლობაში;
7) პროექტის დასრულების შემდეგ არსებული დაუხარჯავი თანხა დაუბრუნოს დონორს ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივობების დასრულებიდან 2 კვირის განმავლობაში;
8) უზრუნველყოს წინამდებარე საგრანტო ხელშეკრულების ფინანსური და პროგრამული დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა დონორის და/ან მის მიერ დაქირავებული